ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო

გარემოს დაცვისა და
სოფლის მეურნეობის
სამინისტრო

N 10392/01
25/10/2019

10392-01-2-201910251103

შპს „საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიას"

მის: ქ. თბილისი, ვაჟა-ფშაველას გამზ. 76 ბ

საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრომ განიხილა თქვენი 2019 წლის 31 ივლისის №10039/1 განცხადება გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების მიღების თაობაზე, რომელიც ეხება მარნეულის და ბოლნისის მუნიციპალიტეტებში „ქ. მარნეულის და ქ. ბოლნისის საკანალიზაციო სისტემისა და ჩამდინარე წყლების გამწმენდი ნაგებობის მშენებლობასა და ექსპლუატაციას".

თქვენს წარმოდგენილი დოკუმენტაციის თანახმად, გამწმენდი ნაგებობის მოწყობა დაგეგმილია როგორც ქ. მარნეულის, ასევე ქ. ბოლნისის საკანალიზაციო ჩამდინარე წყლების გაწმენდის მიზნით. გამწმენდი ნაგებობის ზედაპირული წყლის ობიექტში ჩამდინარე წყლებთან ერთად ჩაშვებულ დამაბინძურებელ ნივთიერებათა ზღვრულად დასაშვები ჩაშვების (ზდჩ) ნორმების პროექტში საპროექტო მონაცემები, მათ შორის, მოსახლეობის და წყალმოთხოვნილების ზრდის დინამიკა, ასევე ჩამდინარე წყლების დინამიკა მოცემულია მხოლოდ ქ. მარნეულისთვის, რაც არ იძლევა ქ. მარნეულისა და ქ. ბოლნისის საკანალიზაციო ჩამდინარე წყლების გამწმენდი ნაგებობის ზედაპირული წყლის ობიექტზე (მდ. ალგეთი) ზემოქმედების სრულყოფილად შეფასების, ჩამდინარე წყლის მაქსიმალური საანგარიშო ხარჯის და შესაბამისად, ზდჩ ნორმების სწორად განსაზღვრის საშუალებას. ამასთან წარმოდგენილი დოკუმენტაცია შეიცავს უზუსტობებს:

- თავში 5.3 - ზღვრულად დასაშვები ჩაშვების ნორმების გაანგარიშება - აღნიშნულია, რომ ანგარიში შესრულებულია ახალქალაქის რკინიგზის სადგურისთვის. ასევე დოკუმენტში არ არის მოცემული 6.1.1 ფორმულა, რომლის საფუძველზეც განხორციელდა ზდჩ ნორმების ანგარიში.
- დამაბინძურებელი ნივთიერებების წლიური ნორმები გაანგარიშებულია ნავთობპროდუქტებისთვის, რაც არ შეესაბამება ნორმირებული ინგრედიენტების ნუსხას.
- თავში 6 - მითითებულია, რომ ჩამდინარე წყლების და ჩამდინარე წყლების მიმღები ობიექტის წყლის ხარისხის კონტროლი განხორციელდება გამწმენდი ნაგებობის ლაბორატორიის მიერ, თუმცა დასაზუსტებელია განახორციელებს

თუ არა, შპს „გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანია“, როგორც ჩამდინარე წყლების, ისე მიმღები წყლის ობიექტის ხარისხის მონიტორინგს.

აღნიშნულიდან გამომდინარე, ზდჩ ნორმების პროექტი საჭიროებს გადამუშავებას ზემოაღნიშნული უზუსტობებისა და შენიშვნების გათვალისწინებით. შესაბამისი ინფორმაცია და განმარტებები ასევე ასახული უნა იყოს გზშ-ის ანგარიშთან დაკავშირებით.

ზემოაღნიშნული შენიშვნების გათვალისწინებით დოკუმენტაციის წარმოდგენამდე, სამინისტრო მოკლებულია შესაძლებლობას გასცეს გარემოსდაცვითი გადაწყვეტილება.

პატივისცემით

ნინო თანდილაშვილი

მინისტრის მოადგილე